

აკადემიური საბჭოს
დადგენილება N 5
დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი
სადისერტაციო საბჭოს დებულება

1. დანიშნულება. მიზნები.

უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის დანიშნულებასა და მიზნებს განსაზღვრავს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ.”

2. სადისერტაციო საბჭო

2.1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. რომელიც შექმნილია სტუ-ს ფაკულტეტზე.

2.2. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

2.3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.

2.4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით საინიციატივო ჯგუფის (არანაკლებ ხუთი წევრი) მიერ ერთი ან რამდენიმე კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

2.5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, მისი თავმჯდომარის დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია აირჩიოს თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

2.6. სადისერტაციო საბჭოს მდივნის კანდიდატურას (საბჭოს შემადგენლობიდან) წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ინიშნება 3 წლის ვადით და შეიძლება დანიშნული იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2.7. სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების მიხედვით.

- 2.8. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 3/4-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3-ზე მეტი.
- 2.9. საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
- 2.10. სადოქტორო დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციას განსაზღვრავს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

- 3.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში.
სხდომის მოწვევა შეუძლია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.
- 3.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობენ საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში და მდივანი.
- 3.3. მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე (მოადგილე) უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.
- 3.4. საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს სადისერტაციო კოლეგიებს.
- 3.5. საბჭოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის სავალდებულო თემატური სემინარების ორგანიზებას.
- 3.6. საბჭოსა და თავმჯდომარის ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორატს წერილობით უნდა ეცნობოს.
- 3.7. წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

4. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილება

- 4.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას.
- 4.2. აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას.
- 4.3. უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას საინფორმაციო ვებ-გვერდზე.

5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

- 5.1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
- 5.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაცია.
აგრეთვე მხედველობაში მიიღება:
 - სამაგისტრო ნაშრომის შეფასება
 - გამოქვეყნებული შრომები
 - სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
- 5.3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატმა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე უნდა წარადგინოს:
 - 5.3.1. განაცხადი იმ სპეციალიზაციის მითითებით, რომელსაც შეეხება სადისერტაციო თემა.
 - 5.3.2. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ - "CV".
 - 5.3.3. სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.
 - 5.3.4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.
 - 5.3.5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაცია.
 - 5.3.6. მოხსენებითი ბარათი იმის დადასტურებით, რომ იგი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.
 - 5.3.7. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს სადოქტორო პროგრამაზე შეუძლია მიიღოს არა უმეტეს 4 დოქტორნატისა, მათ შორის არაუმეტეს 2 დოქტორანტისა ერთ კურსზე.

6. დოქტორანტურაში სწავლა

- 6.1. სადოქტორო პროგრამის მოცულობა არის 180 ევროკრედიტი. აკადემიური წლის განმავლობაში - 60 ევროკრედიტი. ერთ სემესტრში - 30 ევროკრედიტი.
- 6.2. 120 ევროკრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, რაც მოიცავს:
 - 6.2.1. დისერტაციის შესრულებას, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს;

დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით. სადისერტაციო საბჭოს ნებართვით დასაშვებია მისი სხვა ენაზე შესრულება.

6.2.2. დისერტაციის დაცვას - დასრულებული სამეცნიერო ნაშრომის პრეზენტაცია;

6.2.3. არანაკლებ სამ სამეცნიერო სტატიას სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცებულ გამოცემებში;

დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება თუ:

- დაბეჭდილია ჟურნალის შესაბამისი ტომი;
- ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6.2.4. მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში. აქედან ერთ-ერთი საერთაშორისო კონფერენციაში.

6.3. 60 ევროკრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, რაც მოიცავს:

6.3.1. დისერტაციის თემასთან დაკავშირებულ სპეც.კურსს/კურსებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევით - 15 ევროკრედიტი.

6.3.2. ინგლისური ენის სპეცკურსს - 15 ევროკრედიტი.

6.3.3. თემატურ სემინარებს - 30 ევროკრედიტი.

6.4. დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების შესრულებული რაოდენობა სწვალების ყოველი წლის ბოლოს დასტურდება ხელმძღვანელის დასკვაში.

7. თემატური სემინარი

7.1. დოქტორანტურაში სწავლების მეორე წლიდან დოქტორანტი ამზადებს ორ სასემინარო ნაშრომს და იცავს აუდიტორიის წინაშე.

7.2. თემატური სასემინარო ნაშრომის თემას არჩევს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

7.3. თემატური სემინარის ჩატარების ფორმას, სემინარის შემადგენლობას, თემატური სასემინარო ნაშრომის შეფასების წესს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

8. დისერტაციის წარდგენა

8.1. დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა 4 აკინძულ და 1 ელექტონულ ეგზემპლარად, ფაკულტეტის ან სადისერტაციო საბჭოს ვებ-გვერდზე განსათავსებლად.

- 8.2. დოქტორანტმა უნდა წარადგინოს ცნობები ორი სემინარის ჩატარების შესახებ. დანართი 1, დანართი 2.
- 8.3. დოქტორანტმა უნდა წარადგინოს დისერტაციის თემის ირგვლივ მისი ავტორობით ან თანაავტორობით შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული 6.2.3. პუნქტის შესაბამისად. დანართი 3.
- 8.4. სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების ნუსხა, სადაც მოხსენებული იქნა სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები.
- 8.5. დისერტაციასთან დაკავშირებული გამოგონების (მისი არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

9. წერილობითი დასკვნა დისერტაციის შესახებ

- 9.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორი რეცენზენტი და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები) წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს წერილობით დასკვნას დისერტაციაზე (დანართი 4, დანართი 5).
- 9.2. რეცენზენტად ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის შესაბამის სპეციალიზაციაში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე 5 ნაშრომი. განსაკუთრებულ შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეუძლია აღნიშნულთან ერთად იხელმძღვანელოს რეცენზენტის შერჩევის მის მიერ დაწესებული სხვა კრიტერიუმებითაც. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს: დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე სამუშაოს თანაავტორი; იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა დისერტაცია; აგრეთვე იმ სტრუქტურული ერთეულის წევრი, სადაც მუშაობს დისერტანტი; არ უნდა იყოს დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.
- 9.3. დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს ერთი და იგივე ორგანიზაციის, ერთი და იგივე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი.
- 9.4. რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 თვისა.
- 9.5. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს რეკომენდაცია დისერტაციის დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების ან დაცვაზე უარის თქმის შესახებ. უმნიშვნელო შენიშვნების შემთხვევაში დისერტაციის მიღება ხდება ხარვეზების გამოსწორების დათქმით. რეცენზენტები დისერტაციის განხილვისას იყენებენ ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:
დადებითი შეფასებები:
 - “საუკეთესო” - (91-100 ქულა)
 - “მალიან კარგი” - (81-90 ქულა)
 - “კარგი” - (71-80 ქულა)
 - “საკმარისი” - (61-70 ქულა)
 - “დამაკმაყოფილებელი” - (51-60 ქულა)

უარყოფითი შეფასება:

- “არადამაკმაყოფილებელი” - (41-50 ქულა)
- “ცუდი” - (0-40ქულა)

- 9.6. შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების შემთხვევაში, დისერტაცია ხელახლა უნდა იქნას წარდგენილი 1 წლის გასვლის შემდეგ. ხელახლა წარმოდგენილი დისერტაციის კვლავ უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი აღარ მიიღება.
- 9.7. “ცუდი” შეფასების შემთხვევაში დისერტაცია არ მიიღება დასაცავად.
- 9.8. იმ შემთხვევაში თუ ერთი რეცენზენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა დადებითია, ხოლო მეორესი კი - უარყოფითი, ინიშნება მესამე რეცენზენტი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. მესამე რეცენზენტს დისერტაციის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.
- 9.9. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში შეტყობინებაში უნდა იყოს სადისერტაციო კოლეგიის (პარაგრაფი 10) შემადგენლობა, დაცვის თარიღი, გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი დასაშვები რაოდენობა (დანართი 6). შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს უნდა მიეცეს არანაკლებ 15 დღისა დაცვისათვის მოსამზადებლად. დოქტორანტს ეძლევა უფლება, გაეცნოს რეცენზენტების დასკვნებს.
- 9.10. დაცვაზე დაშვების უარის შემთხვევაში, უარყოფილი დისერტაცია და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია, გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

10. სადისერტაციო კოლეგია

- 10.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციის დასაცავად ქმნის სადისერტაციო კოლეგიებს დისერტაციის დაცვამდე 1 თვით ადრე.
- 10.2. სადისერტაციო კოლეგია უნდა შედგებოდეს მეცნიერების იმ დარგის სულ მცირე ექვს წარმომადგენლებისგან, რომლებშიც შესრულებულია დისერტაცია.
- 10.3. დამატებით კოლეგიაში უნდა შედიოდეს დისერტაციის ხელმძღვანელი, ასევე დისერტაციის რეცენზენტები.
- 10.4. სადისერტაციო კოლეგიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე, რომელიც არის უნივერსიტეტის მოქმედი ან საპატიო პროფესორი და არ არის დისერტანტის ხელმძღვანელი ან რეცენზენტი.
- 10.5. სადისერტაციო კოლეგიის სხდომის უფლებამოსილობის პირობას განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

11. დაცვა

- 11.1. დაცვა ხორციელდება სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, სადისერტაციო კოლეგიის ყველა დამსწრე წევრი დაცვის დამთავრების

შემდეგ წარმოადგენს დასკვნას. დანართი 7, დანართი 8. დაცვაზე, მის მსვლელობასა და მის საბოლოო შედეგზე უნდა გაფორმდეს დისერტაციის დაცვის ოქმი. დანართი 9.

- 11.2. დაცვა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ თემის მოხსენებით წარმოადგენას - პრეზენტაციას. მოხსენების ხანგრძლივობას განსაზღვრავს სადისერტაციო კოლეგია.
- 11.3. სადისერტაციო კოლეგიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.
- 11.4. დისერტაციის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგინებიდან 6 თვის განმავლობაში, არდადაგების ჩათვლით.

12. შეფასება

12.1. დაცვა ფასდება სადისერტაციო კოლეგიის მიერ დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე.

12.2. შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

დადებითი შეფასება:

- ა) 91-100 ქულა - საუკეთესო - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) 81-90 ქულა - ძალიან კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველ მხრივ აღემატება;
- გ) 71-80 ქულა - კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) 61-70 ქულა - საკმარისი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) 51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- ვ) 41-50 ქულა - არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს.
- ზ) 0-40 ქულა - ცუდი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

12.3. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუკი მას სადისერტაციო კოლეგიის უმრავლესობა აფასებს უარყოფითად.

12.4. სადისერტაციო კოლეგიის წევრების დასკვნების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო შეფასება.

12.5. სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარე დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს დისერტანტს.

12.6. თუ დისერტაცია არ იქნა დაცული, დაცვის გამეორება შესაძლებელია მომდევნო 6 თვის განმავლობაში. დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სადისერტაციო საბჭოს უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.

13. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა/დიპლომი

13.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობას/დიპლომის გაცემის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

14. ბათილობა

სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის გაუყენლობის ან ჩამორთმევის საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

15. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

15.1. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით წესრიგდება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

15.2. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს დოქტორანტურაში მიღების პირობებს, განსაზღვრულს ხელშეკრულებით ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ, 15.1. პუნქტის შესაბამისად.

15.3. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა თემის თანახემდღვანელობაზე.

15.4. პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობის შემთხვევაში დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციის პროფესორებმა. დაცვას უნდა ესწრებოდეს ერთი ხელმძღვანელი მაინც.

15.5. პარტნიორი ორგანიზაციის პროფესორი, რომელიც თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობას განაცხადებს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თავის შეფასებას.

16. გარდამავალი დებულებები

16.1. ის პირები, რომლებიც წინამდებარე დებულების ძალაში შესვლის დროისათვის ირიცხებიან სტუ-ს ასპირანტურაში ან გაფორმებულები არიან როგორც მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებლები, ჩაითვალონ დოქტორანტებთან გათანაბრებულ პირებად.

16.2. პირებს რომლებიც ირიცხებიან სტუ-ს ასპირანტურის III და IV კურსზე, აგრეთვე მაძიებლებს რომელთაც მაძიებლობის ვადა არა აქვთ ამოწურული და ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ითვლებიან დოქტორანტებთან გათანაბრებულ პირებად მიეცეთ საშუალება 2007 წლის ოქტომბრამდე ჩააბარონ “საკანდიდატო მინიმუმით” გათვალისწინებული საგნები.

- 16.3. გარდამავალ პერიოდში, 2008/09 სასწავლო წლის დაწყებამდე, ასევე დოქტორანტებთან გათანაბრებულ პირებად ჩაითვალონ ის პირები, რომელთაც დებულების ძალაში შესვლის დროისთვის დამთავრებული აქვთ ასპირანტურის სრული კურსი და ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა.
- 16.4. დოქტორანტებთან გათანაბრებულ პირებს სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება არ შეეცვალოს, მიუხედავად იმისა იგი ამჟამად მუშაობს თუ არა აღნიშნულ დაწესებულებაში.
- 16.5. პირს, რომელსაც 2006 წლის 31 დეკემბრამდე ჩაბარებული ჰქონდა “საკანდიდატო მინიმუმით” გათვალისწინებული ყველა საგანი, ამასთან საგნის ჩაბარების მოქმედების ვადა ამოწურული არ არის. გგამოქვეყნებული აქვს სულ მცირე სამი ნაშრომი სეს-ის მიერ აღიარებულ გამოცემებში და აქვს დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი, უფლება ეძლევა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს ნაშრომი დასაცავად.
- 16.6. პირს, რომელსაც 2006 წლის 31 დეკემბრამდე ჩაბარებული ჰქონდა “საკანდიდატო მინიმუმით” გათვალისწინებული ყველა საგანი, ამასთან საგნის ჩაბარების ვადა ამოწურული არ არის, მაგრამ არ ჰქონდა გამოქვეყნებული სულ მცირე სამი ნაშრომი სეს-ის მიერ აღიარებულ გამოცემებში და არ ჰქონდა დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი, ჩაეთვალოს ჩაბარებული “საკანდიდატო მინიმუმის” გამოცდები ჩაბარებულ სემინარებად (პარაგრაფი 7) და უფლება მიეცეს დაამთავროს და წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს ნაშრომი დასაცავად, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გამოაქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს 6.2.3. პუნქტის შესაბამისად.
- 16.7. დოქტორანტთან გათანაბრებული პირი, რომელიც არ/ვერ ჩააბარებს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდებს 16.1. პუნქტში მითითებულ ვადებში, ვალდებულია ჩაატაროს ორი სემინარი და დააგროვოს სავალდებულო 40 კრედიტი, 6.3.2 პუნქტისა და პარაგრაფი 7-ის შესაბამისად.

17. დებულების ძალაში შესვლა

- 17.1. ეს დებულება ძალაში შედის დამტკიცების დღიდან.